



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

“ევროპის მწვანე შეთანხმება” და საქართველო

*საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების
ხელშეწყობა
ევროპის მწვანე შეთანხმების საკითხებთან დაკავშირებით*

მიმოხილვა მომზადებულია მერაბ შარაბიძის მიერ
ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით, პროექტის “ევროპის
მწვანე შეთანხმება და საქართველო“ ფარგლებში, გერმანიის „დედამიწის
მეგობრები - BUND“-თან თანამშრომლობით.

შინაარსი

შესავალი	3
მწვანე შეთანხმების მიზნები	5
მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებები	7
ევროკავშირის კლიმატური მიზნები 2030 და 2050 წლებისთვის	7
სუფთა, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯის მიწოდება	9
მრეწველობის მობილიზება სუფთა და ცირკულარული ეკონომიკისათვის	10
მშენებლობა და განახლება ენერჯო- და რესურსეფექტიანი გზით	10
მდგრადი და ჯკვიანი მობილობისკენ გადასვლის დაჩქარება	11
"ფერმიდან ჩანგალამდე": სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კვების სისტემის შემუშავება	12
ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და აღდგენა	13
ნულოვანი დაბინძურება არატოქსიკური გარემოსთვის	14
მწვანე შეთანხმების პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები	15
მწვანე ფინანსებისა და ინვესტიციების განხორციელება და სამართლიანი გარდამავალი პერიოდის უზრუნველყოფა	16
ეროვნული ბიუჯეტების გამწვანება და ფასწარმოქმნის მექანიზმები	17
განათლებისა და სწავლების გააქტიურება	17
მწვანე ფიცი: "არ დააზიანო"	18
კვლევების მობილიზება და ინოვაციის ხელშეწყობა	19
ერთობლივი მოქმედების დრო: ევროპის კლიმატის პაქტი	19
მწვანე შეთანხმების საკანონმდებლო უზრუნველყოფა	19
მწვანე შეთანხმების მოლოდინები და რისკები	21
მწვანე შეთანხმება და ევროკავშირის საპარტნიორო-სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთან	23
რეკომენდაციები	24

შესავალი

2019 წლის 11 დეკემბერს ევროკომისიის მიერ მიღებულ იქნა კომუნიკაცია (COM/2019/640 final) - „ევროკავშირის მწვანე შეთანხმება“¹ (შემდგომში: მწვანე შეთანხმება). იგი წარმოადგენს განვითარების ახალ სტრატეგიას მდგრად ეკონომიკურ მოდელზე ევროკავშირის გადასვლისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის კლიმატნიეტრალურობა 2050 წლისთვის. მწვანე შეთანხმება არის ევროკომისიის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი გაეროს 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად. იგი ქმედითი ინსტრუმენტია პარიზის შეთანხმების მოთხოვნათა შესრულებისთვის.

*მწვანე შეთანხმება ევროკავშირის შიდა დოკუმენტია, მაგრამ ამბიციუა უფრო შორს მიდის და ოფიციალურ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმების მისწრაფება გადააქციოს არ მხოლოდ ევროკავშირი, არამედ მთლიანი ევროპა პირველ ნახშირბადნიეტრალურ კონტინენტად.*²

ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმების მიზნები ვერ მიიღწევა მხოლოდ ევროკავშირის მოქმედებით. კლიმატის ცვლი-ლებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის ფაქტორები გლობალურია და არ შემოიფარ-გლება მხოლოდ ეროვნული საზღვრებით. ევროკავშირის შეუძლია გამოიყენოს თავისი გავ-ლენა, გამოცდილება და ფინანსური რესურსი მეზობლებისა და პარტნიორების მობილიზე-ბისთვის, რათა ისინი შეუერთდნენ ევროკავშირს მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე.

აღნიშნული ჩანაწერი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეხება ევროკავშირის უახლოეს მეზობლებს და პარტნიორებს, როგორცაა მაგალითად საქართველო. ჩვენი ქვეყანა ევროკავშირთან დიდი ხანია დაკავშირებულია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატით და რაც მთავარია ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას³ და იგი ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან. ასოცირების ხელშეკრულება პირველ რიგში გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მწვანე შეთანხმებამ მოითხოვა უპრეცედენტო რაოდენობის ცვლილებები ევროკავშირის კანონმდებლობაში. ცვლილებები გულისხმობს როგორც ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას, ისე ცვლილებებს არსებულ აქტებში. ზემოთ ხსენებული არსებული აქტებიდან რამოდენიმე ასახულია ასოცირების ხელშეკრულებაში, ამიტომ საქართველო ვალდებულია უშუალოდ ჩაერთოს მწვანე შეთანხმების განხორციელებაში. ეს აუცილებლობა უფრო ცხადი ხდება თუ

¹ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52019DC0640>

² https://ec.europa.eu/info/sites/default/files/proposal-amendment-effort-sharing-regulation-with-annexes_en.pdf

³ [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02))

გავითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის პოზიციას, რომ საქართველო 2024 წელს ოფიციალურ განაცხადს გააკეთებს ევროკავშირში განწევრიანებაზე.

საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა 2021 წლის 5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა: „მწვანე შეთანხმების“ საშუალებით ევროკავშირი ქმნის კლიმატ-ნეიტრალური გზით ინფრასტრუქტურის, პროდუქტებისა და სტანდარტების გაუმჯობესების მოდელს, რომელიც წარმოადგენს მაგალითს და იმ გზას, რომელსაც უნდა გაყვეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით.⁴

ბემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მწვანე შეთანხმება საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, ინფორმაცია ამ დოკუმენტის შესახებ ძალზე მწირია. არ გაცხადებულა საქართველოს მთავრობის პოზიცია და ხედვები ამ დოკუმენტზე. სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის კლიმატის ცვლილების კოალიცია (აერთიანებს 200-ზე მეტ დაინტერესებულ მხარეს და ორგანიზებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მიერ), ნაკლებად ფლობს საკითხის გარშემო არსებულ ინფორმაციას.

წინამდებარე პოლიტიკის ანგარიშის ძირითადი სამიზნე ჯგუფია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, აგრეთვე ექსპერტები, მედია, გადამცვეტილების მიმღები პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ანგარიშის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს სამოქალაქო სექტორის ცნობიერების ამაღლებას „ევროპის მწვანე შეთანხმების“ არსის, ამოცანების და შედეგების, ასევე საქართველოსათვის მის მნიშვნელობაზე. ეს საშუალებას მისცემს სამოქალაქო სექტორს ევროპის მწვანე შეთანხმების საქართველოსათვის დაახლოების გაზიარების საკითხების ადვოკატირებისა და ლობირებაში, მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური დიალოგის წარმართვაზე.

ანგარიში მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა ამ ტიპის ანგარიშების შედგენის სტანდარტული მეთოდოლოგია:


1. ევროპის მწვანე შეთანხმების და მასთან დაკავშირებული რეგულაციების დეტალური გაცნობა. ევროკავშირის ოფიციალური პირებისა და ექსპერტების პოზიციების გაანალიზება დოკუმენტთან მიმართებაში;
2. საქართველოს კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტების და საერთაშორისო ხელშეკრულებების მოძიება და ანალიზი, რომელთაც შეიძლება ქონდეთ თანხვედრა ევროპის მწვანე შეთანხმების დებულებებთან;
3. კონსულტაციები ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
4. დოკუმენტის პროექტის მომზადება;

⁴ <https://netgazeti.ge/news/546589/>

5. დოკუმენტის პროექტის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;
6. საბოლოო დოკუმენტის მომზადება.

მწვანე შეთანხმების მიზნები

ევროკავშირის მწვანე შეთანხმების სამი მთავარი მიზანია: ევროკავშირი გახდეს პირველი კლიმატნეიტრალური რეგიონი 2050 წლისთვის, განვითარება და ეკონომიკური ზრდა ნაკლებად დამოკიდებული იქნეს რესურსების გამოყენების დონეზე და ამასთან განვითარება უნდა იყოს ინკლუზიური და სამართლიანი⁵ (იხ სქემა 1)



სქემა 1. მწვანე შეთანხმების სამი მთავარი მიზანი

მოკლედ განვიხილოთ სამი ძირითადი მიზნის არსი:

- ნახშირბადნეიტრალურობა ანუ ნახშიროჟანგის სუფთა-ნულოვანი ემისია 2050 წლისთვის

⁵ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en

პირველ რიგში უნდა განიმარტოს, რომ ნახშირბადნეიტრალურობა ნიშნავს, რომ ქვეყანაში ნახშიროჟანგის ემისია და მისი შთანთქმა, სხვადასხვა ტექნოლოგიების გაუმჯობესებით და ბუნებრივი ეკოსისტემების მიერ, დაბალანსებულია ანუ ერთმანეთის ტოლია. ამ მიზნის მიღწევა დაგეგმილია 2050 წლისთვის. ამასთან, გარიგებას აქვს შუალედური მიზანი 2030 წლისთვის, ეს არის ემისიების შემცირება 55% -ით 1990 წელთან შედარებით. ეს მიზანი ძირითადად მიმართულია ენერგეტიკის სექტორისაკენ, რომელზეც მოდის ევროკავშირის სათბური გაზების ემისიის 75%. მწვანე შეთანხმება .ნ. „ ენერგო მიქს“-ში გათვალისწინებულია განახლებადი ენერჯის წილის მნიშვნელოვანი ზრდა. რა თქმა უნდა ნახშირბადნეიტრალურობისთვის ეს საკმარისი არ იქნება, ამიტომ შეთანხმება ითვალისწინებს ბუნებრივი ეკოსისტემების, განსაკუთრებით ტყეების, ნახშიროჟანგის შთანთქმის შესაძლებლობების გაზრდას მათი ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და რაოდენობრივი ზრდის საშუალებით. ამის მისაღწევად, მწვანე შეთანხმების რეგულაციების პაკეტში მიღებულია ევროკავშირის სატყეო სტრატეგიის დოკუმენტი⁶.

- **განვითარების დამოუკიდებლობა რესურსების გამოყენების დონისგან.** რა თქმა უნდა ზოგადად ეკონომიკის განვითარებას და წარმოების გაფართოებას ჭირდება მეტი ბუნებრივი თუ სხვა რესურსები. სამრეწველო განვითარების ადრეულ ეტაპზე წარმოების ზრდა და რესურსების გამოყენება თითქმის პირდაპირპროპორციული იყო. მიზანია შემცირდეს ეს დამოკიდებულება ე.ი. განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს რესურსების გამოყენების და შესაბამისად ემისიების ზრდის ტემპს. 1990 წლიდან 2018 წლამდე, სათბურის გაზების ემისია ევროკავშირში შემცირდა 23 პროცენტით, მაშინ როდესაც ეკონომიკის ზრდა იყო 61 %⁷. ასეთი შეფარდების კიდევ უფრო გაღრმავება მოითხოვს სულ უფრო ახალი რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებას და ხშირ შემთხვევაში ადამიანის, საზოგადოების ტრადიციული ცხოვრების წესის გადახედვას.
- **ინკლუზიური და და სამართლიანი მწვანე განვითარება.** მწვანე შეთანხმების ამბიციური მიზნების განხორციელება მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას და ფინანსურ რესურსებს. ცვლილებები ეკონომიკის სექტორში და საზოგადოების ცხოვრების წესის გადახედვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ევროკავშირის წევრი ქვეყნებიც ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან. ამ მიზნის მისაღწევად და ყველა მოთამაშის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა „სამართლიანი გადასვლის მექანიზმი“⁸, რომელიც ითვალისწინებს დაახლოებით 70 მილიარდი ევროს დახმარებას 2021-2027 წლებისთვის გარდამავალი პერიოდის ნეგატიური სოციო-ეკონომიკური გავლენების შესამცირებლად.


⁶ <https://ec.europa.eu/info/files/communication-new-eu-forest-strategy-2030>

⁷ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en

⁸ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal/finance-and-green-deal/just-transition-mechanism_en

მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებები

აღნიშნული მიზნების მიღწევისთვის მწვანე შეთანხმება ფოკუსირდება მომავალი განვითარების პოლიტიკის 8 მიმართულებაზე:



სქემა 2. მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებები

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ევროკავშირის კლიმატური მიზნები 2030 და 2050 წლებისთვის

ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ცენტრალური ამოცანაა განსაზღვროს ის მიმართულებები, რომელთა საშუალებით, 2050 წელს, ევროკავშირი მიაღწევს კლიმატნეიტრალურობას. ამ მიზნის მიღწევისთვის, ევროკომისიამ შუალედურ მიზნად დაისახა 2030 წლისათვის შეამციროს სათბურის გაზების ემისიები 55 პროცენტით 1990 წელთან შედარებით. 2030 წლის ეს მიზანი ასახულია 2021 წლის ივნისში მიღებულ

კლიმატის შესახებ ევროპულ კანონში⁹, რომელიც ასევე მოიცავს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების 2050 წლის კლიმატნეიტრალურობის მიზანს.

კლიმატის ევროპული კანონი წარმოადგენს მწვანე შეთანხმების ქვაკუთხედს და სწორედ მან აქცია ევროკომისიის კომუნიკაცია მწვანე შეთანხმების შესახებ იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტად. კანონი მოითხოვს, რომ ევროკავშირის ყველა სექტორულმა პოლიტიკამ ხელი შეუწყოს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევას. შედეგად, ევროკომისიამ უნდა გადახედოს ევროკავშირის ყველა დაკავშირებულ რეგულაციას, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ევროკავშირის ემისიების შემცირების მიზნებთან. ეს ხანგრძლივი პროცესი უკვე დაწყებულია და ამ დროისათვის უკვე იქნა მიღებული მნიშვნელოვანი ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში, შემუშავდა ახალი საკანონმდებლო აქტები და პოლიტიკის დოკუმენტები. ახალი რეგულაციების გათვალისწინებით ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 2023 წლამდე უნდა განაახლონ კლიმატის ცვლილებასთან და ენერჯეტიკასთან დაკავშირებული თავიანთი გეგმები¹⁰. კლიმატის კანონის პარალელურად მიღებული იქნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტი: „ევროპის კლიმატის პაქტი“¹¹, რომლის მიზანია კანონის აღსრულებაში და კანონით გათვალისწინებული მიზნების პოპულარიზაციაში მოსახლეობის, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოებების ფართო ჩართვა და არა მარტო ევროკავშირის მასშტაბით, არამედ გლობალურად, რაც ჩვენი სამოქალაქო სექტორისთვის ფრიალ საინტერესო უნდა იყოს.

ევროკავშირის მეზობელ ქვეყნებს და ბევრ სხვა პატნიორ სახელმწიფოს არა აქვთ შესაძლებლობა და ამბიცია გაიზიარონ ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნები და სტანდარტები, ამიტომ არსებობს ე.წ. „ნახშირბადის გაჟონვის“ საშიშროება, იმის გამო, რომ წარმოება ევროკავშირიდან გადავა სხვა ქვეყნებში, რომელთა სტანდარტები უფრო დაბალია, ან იმის გამო, რომ ევროკავშირში ნაწარმოები პროდუქცია ჩანაცვლდება იმპორტული ნახშირბადინტენსიური ნარმოების პროდუქციით. თუ ეს მოხდა, გლობალური ემისიები არ შემცირდება და ეს ხელს შეუშლის ევროკავშირის ძალისხმევას მწვანე შეთანხმების მიზნების მისაღწევად. ამ შემთხვევაში, ნახშირბადის გაჟონვის რისკის შესამცირებლად ევროკომისიამ შეიმუშავა ე.წ. ნახშირბადის საზღვრის კორექტირების მექანიზმი¹² შერჩეული სექტორებისთვის. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს იმპორტის ფასის უფრო ზუსტად ასახვას მათი ნახშირბადის შემცველობის მიხედვით.

⁹ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1588581905912&uri=CELEX:52020PC0080>

¹⁰ https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/fs_19_6723

¹¹ https://europa.eu/climate-pact/index_en

¹² https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_21_3661

სუფთა, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერჯის მიწოდება

ამჟამად, ევროკავშირის ეკონომიკურ სექტორებში გამოყენებულ და წარმოებულ ენერჯიაზე მოდის ევროკავშირის სათბურის გაზების ემისიის 75 % -ზე მეტი¹³. მწვანე შეთანხმებით განსაზღვრული სუფთა ენერჯის პოლიტიკა მიზნად ისახავს ამ მაჩვენებლის შემცირებას ენერჯეტიკის სექტორის ისეთი განვითარებით, რომელიც ძირითადად დაფუძნებული იქნება ენერჯის განახლებაზე წყაროებზე და ინტეგრირებული და ურთიერთდაკავშირებული ევროკავშირის ციფრული ენერჯის ბაზარზე.

ახალ ენერჯოპოლიტიკაში დიდი ყურადღება მიექცევა ოფშორულ განახლებაზე ენერჯიას. ენერჯეტიკის ახალი სტრატეგია ხელს შეუწყობს თითქმის 800 მილიარდი ევროს ინვესტიციას ოფშორულ ენერჯეტიკულ ინფრასტრუქტურაში და კვლევაში 2050 წლამდე. ევროკავშირის ოფშორული ქარის სადგურების სიმძლავრე უნდა გაიზარდოს მისი ამჟამინდელი დონიდან -12 გიგავატი - 300 გიგავატამდე 2050 წლისთვის.

2020 წელს მიღებული ევროკავშირის წყალბადის სტრატეგიის¹⁴ მიზანია სუფთა წყალბადის წარმოების გაზრდა ნახშირბადის შემცირებაში. მიღებული სტრატეგია ხელს შეუწყობს სუფთა წყალბადის გამოყენების ინოვაციებს და წყალბადის ელექტროლიზატორების ფართოდ დანერგვას. სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირში მწვანე წყალბადის ელექტროლიზატორის მინიმუმ 6 გიგავატი სიმძლავრის ინსტალირებას, რომელიც 2024 წლისთვის უზრუნველყოფს 1 მილიონ ტონამდე წყალბადის გამომუშავებას. 2030 წლამდე განსაზღვრულია მინიმუმ 40 გიგავატი ელექტროლიზატორის დაყენება, რომელიც გამომუშავებს 10 მილიონ ტონამდე წყალბადს.

მწვანე შეთანხმების „ენერჯის ნაწილში“, 2020 წელს ევროკომისიამ მიიღო ენერჯეტიკული სისტემის ინტეგრაციის სტრატეგია, რომლის მიზანია გააუმჯობესოს მთლიანი ენერჯეტიკული სისტემის დაგეგმვისა და მუშაობის კოორდინაცია „ჭკვიანი“ ტექნოლოგიების დანერგვის გზით.¹⁵

ცვლილებებია შეტანილი ენერჯის ტრანსევროპული ქსელების რეგულაციაში¹⁶. ახალი მოთხოვნებია: ენერჯის განახლებადი წყაროების დაჩქარებულ გამოყენება, ევროკავშირის ტრანსსასაზღვრო ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და ყველა პროექტისთვის მდგრადობის კრიტერიუმებს შესრულების ვალდებულობა.

¹³ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52019DC0640>

¹⁴ https://ec.europa.eu/energy/sites/ener/files/hydrogen_strategy.pdf

¹⁵ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020DC0299&qid=1612807555860>

¹⁶ https://ec.europa.eu/energy/topics/infrastructure/trans-european-networks-energy_en

მრეწველობის მობილიზება სუფთა და ცირკულარული ეკონომიკისათვის

დღეისათვის მრეწველობაზე მოდის ევროკავშირის სათბურის აირების ემისიის 20 პროცენტი. ევროკავშირის მწვანე შეთანხმება, შესაბამისად, მოიცავს ქმედებებს დეკარბონიზაციის ძალისხმევის გასაძლიერებლად, დაწყებული ნედლეულის მიწოდებიდან დამთავრებული პროდუქციის წარმოებამდე. მიღებულია ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა¹⁷, რომელიც წარმოადგენს ინიციატივებს სამრეწველო პროდუქციის მოხმარების ვადის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით, რათა შემცირდეს ბენოლა ბუნებრივ რესურსებზე, არეგულირებს პროდუქტის მეორადი გამოყენების საკითხებს, შეკეთების შესაძლებლობას და პროდუქციაში რეციკლირებადი კომპონენტების ინტეგრაციას.

მიღებულია აგრეთვე ევროკავშირის სამრეწველო სტრატეგია¹⁸, რომლის მიზანია კლიმატნიეტრალური და ცირკულარული პროდუქტების ბაზრების განვითარება და ციფრული გადასვლის წახალისება. ევროკავშირის მწვანე შეთანხმება აღნიშნავს, რომ ეს ზომები აუცილებელია სუფთა ტექნოლოგიებისთვის საჭირო ძირითადი ნედლეულის მიწოდების უზრუნველსაყოფისთვის, როგორცაა სუფთა წყალბადი და სხვა ალტერნატიული საწვავი, აგრეთვე ენერჯის შენახვის, ნახშირბადის შემგროვებელი და მისი უტილიზაციის ტექნოლოგიების განვითარებისთვის.

ბატარეებთან დაკავშირებით, ევროკომისიამ მიიღო რეგულაცია ბატარეების და მისი ნარჩენების შესახებ¹⁹, რომელიც მოწოდებულია გააძლიეროს ბატარეების მიწოდების და მოხმარების ჯაჭვების მდგრადობა და გააუმჯობესოს სამრეწველო, საავტომობილო, ელექტრო მანქანების და პორტატული ბატარეების გადამუშავება ევროკავშირში.

მშენებლობა და განახლება ენერგო- და რესურსეფექტიანი გზით

ევროკავშირში შენობები მოიხმარენ ენერჯის დაახლოებით 40 პროცენტს და გამოყოფენ სათბური გაზების ემისიის 36 პროცენტს მოხმარებულ ენერჯიაზე. ამჟამად ევროკავშირის შენობების დაახლოებით 35 პროცენტი 50 წელზე მეტისაა და შენობათა 75% არ არის ენერგოეფექტური²⁰. ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნები მოითხოვენ უფრო ენერგოეფექტურ შენობებს და მთლიან სამშენებლო სექტორს. ამ მიზნების შესრულებისთვის ევროკომისიამ დაამტკიცა შენობების „განახლების ტალღის“

¹⁷ https://ec.europa.eu/environment/strategy/circular-economy-action-plan_en

¹⁸ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/europe-fit-digital-age/european-industrial-strategy_en

¹⁹ https://ec.europa.eu/environment/pdf/waste/batteries/Proposal_for_a_Regulation_on_batteries_and_waste_batteries.pdf

²⁰ https://ec.europa.eu/energy/topics/energy-efficiency/energy-efficient-buildings/energy-performance-buildings-directive_en

სტრატეგია²¹ არსებული შენობების განახლებისთვის მათი ენერგოეფექტურობის გაზრდის მიზნით. სტრატეგია პრიორიტეტს ანიჭებს გათბობისა და გაგრილების სისტემების დეკარბონიზაციას, ძველი სახიფათო სამშენებლო მასალების ამოღებას და პირველ რიგში ისეთი საზოგადოებრივი შენობების განახლებას, როგორებიცაა სკოლები და საავადმყოფოები. შენობებში ენერგოეფექტურობა იქნება პრიორიტეტი და ევროკომისია შეისწავლის შენობებიდან გამოყოფილი ემისიების ჩართვის შესაძლებლობას ევროკავშირის ემისიების ვაჭრობის სისტემაში.

ევროკომისიამ ასევე განაახლა რეგულაცია სამშენებლო პროდუქტების შესახებ²², რომელიც ადგენს სამშენებლო პროდუქტებზე მოთხოვნებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე. განახლებული რეგულაციის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით მიზნების განხორციელებას და სამშენებლო პროდუქციის უსაფრთხოებას. პარალელურად, ევროკომისია თავაზობს დაფუძნდეს ღია პლატფორმა, რომელიც გააერთიანებს არქიტექტორებს, ინჟინრებს და ადგილობრივ ხელისუფლებას ძველი შენობების განახლების ბარიერების აღმოსაფხვრელად. რეფორმა აგრეთვე მიზნად ისახავს სამშენებლო სექტორში ინოვაციური დაფინანსების განვითარებას და შენობებში ენერგოეფექტური ინვესტიციების ხელშეწყობას.

მდგრადი და ჯკვიანი მობილობისკენ გადასვლის დაჩქარება

მდგრადი მობილობის პოლიტიკის სფერო მოიცავს ინიციატივებს სატრანსპორტო ემისიების შემცირების მიზნით, რომლებიც ევროკავშირის სათბურის გაზების 25 პროცენტს შეადგენს. მიღებული მდგრადი და ჯკვიანი მობილობის სტრატეგია²³ საფუძველს უყრის ევროკავშირის სატრანსპორტო სექტორის გარდაქმნის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია 2050 წლისთვის ემისიების 90 პროცენტით შემცირება. ეს მიღწეული იქნება ჯკვიანი, კონკურენტუნარიანი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სატრანსპორტო სისტემით. გაზრდილი სატრანსპორტო შესაძლებლობები, შემცირებული საცობები და ნაკლები დაბინძურება შეიძლება მიღწეული იყოს უფრო მდგრადი სატრანსპორტო საშუალებების განვითარების ხელშეწყობით. სტრატეგია ადგენს მთელ რიგ მიზნებს 2030 წლამდე, მათ შორის:

- სულ მცირე 30 მილიონი ნულოვანი გამონაბოლქვის მანქანა იქნება ექსპლუატაციაში ევროპის გზებზე;
- 100 ევროპული ქალაქი იქნება კლიმატნიეტრალური;
- მთელ ევროპაში გაორმაგდება მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო მიმოსვლა;
- დაგეგმილი კოლექტიური მოგზაურობა 500 კმ -ზე ნაკლებ მანძილზე უნდა იყოს ნახშირბადნიეტრალური;

²¹ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1603122220757&uri=CELEX:52020DC0662>

²² <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32011R0305>

²³ https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12438-Sustainable-and-Smart-Mobility-Strategy_en

- ფართოდ იქნება გამოყენებული ავტომატიზირებული მობილობა;
- ბაზრისთვის მზად იქნება ნულოვანი ემისიის საზღვაო ხომალდები.

ამ მიზნების მისაღწევად ცვლილებები შევიდა ალტერნატიული საწვავის ინფრასტრუქტურის განლაგების დირექტივაში²⁴, რომელიც ადგენს ევროკავშირის სატრანსპორტო და საწვავის სადგურების ქსელის გაფართოების მოთხოვნებს ალტერნატიული საწვავისთვის, მათ შორის ელექტრობატარეები და წყალბადი. გადაიხედა რეგულაცია, რომელიც აწესებს CO₂-ის ემისიის სტანდარტებს ახალი სამგზავრო და მსუბუქი კომერციული მანქანებისთვის²⁵. ევროკომისიამ ასევე ცვლილებები შეიტანა ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელის რეგულაციასა²⁶ და ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების დირექტივაში²⁷. ეს ცვლილებები მიზნად ისახავს ნულოვანი გამონახობილი ავტომობილების რაოდენობის გაზრდას, მდგრადი ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღებას, ციფრულ და ავტომატიზირებული სისტემების დანერგვის მხარდაჭერას.

ბატარეები მნიშვნელოვანია ელექტროავტომობილებისთვის, ასევე ენერგეტიკული სისტემის ტრანსფორმაციისთვის. ევროკავშირის პოლიტიკა ორიენტირებულია ბატარეების მთლიან მდგრად ციკლზე, მათ შორის გადამუშავებასა და ხელახალ გამოყენებაზე. ბატარეებისა და ნარჩენი ბატარეების შესახებ რეგულაციით ევროკომისია აძლიერებს ამ პროდუქტის მიწოდების, გამოყენების და უტილიზაციის მთლიან ჯაჭვს.

ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სისტემამ წლების მანძილზე დაამტკიცა თავისი ეფექტურობა, თუმცა მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევისთვის აუცილებელი გახდა ამ სისტემის გადახედვა საავიაციო სექტორში. ახალი რეგულაციით გათვალისწინებულია საზღვაო სექტორის ჩართვა ემისიებით ვაჭრობის სისტემაში, რომელიც აქამდე არ არსებობდა²⁸.

"ფერმიდან ჩანგალამდე": სამართლიანი, ჯანსაღი და ეკოლოგიურად სუფთა კვების სისტემის შემუშავება

კვების სექტორზე მოდის სათბურის გაზების გლობალური ემისიების დაახლოებით 21-37 პროცენტი და იგი იყენებს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. ფერმიდან ჩანგალამდე სტრატეგია²⁹ მიზნად ისახავს შეამციროს სექტორთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემები, ასევე გახადოს იგი უფრო სამართლიანი, მდგრადი და ადამიანების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო. სტრატეგია ორიენტირებულია ნარჩენების

²⁴<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32014L0094>

²⁵https://ec.europa.eu/clima/policies/transport/vehicles/regulation_en

²⁶<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32013R1315>

²⁷<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32010L0040>

²⁸<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32003L0087>

²⁹<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52020DC0381>

შემცირებაზე და საკვების წარმოების, გადამუშავების, საცალო ვაჭრობის, შეფუთვისა და ტრანსპორტირების გარდაქმნაზე.

ფერმიდან ჩანგლამდე სტრატეგიის ფარგლებში დაიხარჯება დაახლოებით 10 მილიარდი ევრო საკვების, ბიოეკონომიკის, ბუნებრივი რესურსების, სოფლის მეურნეობის, თევზჭერის, აკვაკულტურისა და გარემოს კვლევებსა და ინოვაციებზე, ასევე ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამის „ჰორიზონ ევროპის“ მიერ სექტორში დაფინანსებული იქნება ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და ბუნებისადმი მეგობრული გადაწყვეტილებები. მესამე ქვეყნების მიმართ ევროკავშირის კანონმდებლობა ფოკუსირებული იქნება სავაჭრო პოლიტიკაზე, რათა ამ ქვეყნებისგან მიიღონ ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორცაა ცხოველების კეთილდღეობა, პესტიციდების და სხვა ქიმიკატების გამოყენება. ევროკომისია და კვების ჯაჭვის დაინტერესებული მხარეები შეიმუშავებენ ევროკავშირის ქცევის კოდექსს პასუხისმგებელიანი ბიზნესისა და მარკეტინგისათვის. ასევე გათვალისწინებულია საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის რეფორმა.

ევროკომისიამ აგრეთვე შეიმუშავა მეთანის - კლიმატის ცვლილების მეორე უდიდესი კონტრიბუტორის - ემისიების შემცირების სტრატეგია³⁰. ევროკავშირში ანთროპოგენური მეთანის ემისიების 53 პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობაზე, 26 პროცენტი ნარჩენებზე და 19 პროცენტი ენერჯიაზე. მეთანის სტრატეგია ფოკუსირებულია ბიოგაზის წარმოების შესაძლებლობების გაზრდაზე, ასევე კონკრეტულ ღონისძიებებზე ენერჯეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორში.

ევოსისტემების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და აღდგენა

ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია 2030 წლისთვის³¹ განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების შემცირების მთავარ მამოძრავებელ ძალებს, როგორცაა ცვლილებები მიწისა და ზღვის რესურსების გამოყენებაში, ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებულ ექსპლუატაცია, კლიმატის ცვლილება, გარემოს დაბინძურება და ინვაზიური უცხო სახეობები. ბიომრავალფეროვნების შემცირება და კლიმატის ცვლილება არსებითად არიან დაკავშირებული და ბუნებისადმი მეგობრული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასა და ადაპტაციაში. სტრატეგიის თანახმად, ბიომრავალფეროვნებაზე მეტად დამოკიდებული სექტორებია მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, საკვების და სასმელების ინდუსტრია. ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია, “ფერმერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგიასთან ერთად, ორიენტირებულია ტყეების, ნიადაგისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების აღდგენაზე, ქალაქებში მწვანე სივრცეების შექმნაზე. საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან ბიომრავალფეროვნების სტანდარტების გაუმჯობესებას, ევროკავშირი განახორციელებს ბიომრავალფეროვნების მართვის ახალ მიდგომებს. ევროკომისიის შეფასებით, ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის დასაფინანსებლად

³⁰ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020DC0663>

³¹ <https://www.eea.europa.eu/policy-documents/eu-biodiversity-strategy-for-2030-1>

საჭიროა წელიწადში 20 მილიარდი ევრო. ეს მოითხოვს ფინანსურ რესურსებს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორიდან ეროვნულ დონეზე, ასევე ევროკავშირის ბიუჯეტიდან. ფინანსების მოზიდვა დაფუძნებულია იმ საშიშროების აღიარებაზე, რომ ბიომრავალფეროვნების დაკარგვა დაკავშირებულია ეკონომიკის მრავალი სექტორის განვითარების რისკებთან.

ნულოვანი დაბინძურება არატოქსიკური გარემოსთვის

2021 წლის 12 მაისს ევროკომისიამ დაამტკიცა ევროკავშირის სამოქმედო გეგმა: "ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ნულოვანი დაბინძურებისკენ" (დანართებით)³². იგი წარმოადგენს მწვანე შეთანხმების განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს. გეგმის მიხედვით დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებები ჩართული უნდა იყოს ყველა სექტორალურ პოლიტიკაში და გადაიდგას ნაბიჯები დაბინძურების ზრდასთან ეკონომიკური ზრდის კავშირის გასაწყვეტად. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ევროკავშირის მწვანე, ციფრული და ეკონომიკური ლიდერობის გაძლიერებას, ამასთანავე ჯანსაღი, სოციალურად სამართლიანი ევროპისა და პლანეტის შექმნას. სამოქმედო გეგმის ძირითადი მიზნებია:

- ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობის რისკების 55%-ით შესამცირება;
- წყლის ხარისხის გაუმჯობესება ნარჩენების, ზღვაში პლასტიკური ნარჩენების (50%-ით) და გარემოში გამოყოფილი მიკროპლასტიკის შემცირებით (30%-ით);
- ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება საკვები ნივთიერებების დანაკარგების და ქიმიური პესტიციდების გამოყენების 50%-ით შემცირებით;
- იმ ტერიტორიების რაოდენობის 25% -ით შემცირება, სადაც დაბინძურება საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას;
- იმ ადამიანების წილის 30%-ით შემცირება, რომლებიც მუდმივად არიან შეწუხებულნი ტრანსპორტის ხმაურით;
- ნარჩენების წარმოქმნის მნიშვნელოვანი და მუნიციპალური საყოფაცხოვრებო ნარჩენების 50% -ით შემცირება.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის გარდა, მწვანე შეთანხმების შესრულებისთვის მიღებულია კიდევ ორი დოკუმენტი: ქიმიური სტრატეგია მდგრადობისთვის - გარემოს დასაცავად საშიში ქიმიური ნივთიერებებისგან³³ და მსხვილი სამრეწველო დანადგარებიდან ბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებათა გადახედვა³⁴ რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნებთან.


³² https://ec.europa.eu/environment/strategy/zero-pollution-action-plan_en

³³ https://ec.europa.eu/environment/strategy/chemicals-strategy_en

³⁴ https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/12306-Industrial-emissions-EU-rules-updated_en

მწვანე შეთანხმების პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

წინა თავში განვიხილეთ მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებები. დოკუმენტში აგრეთვე განმარტებულია ის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მწვანე შეთანხმების მიზნების განხორციელებას (იხ.სქემა 3):



სქემა 3. მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებების განხორციელების მექანიზმები

მოკლედ განვიხილოთ თითოული მათგანი:

მწვანე ფინანსებისა და ინვესტიციების განხორციელება და სამართლიანი გარდამავალი პერიოდის უზრუნველყოფა

ევროკავშირის მწვანე შეთანხმების შემოთავაზებული დაფინანსება ჩამოყალიბებულია მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმაში³⁵. იგი მოიცავს ორ ძირითად დაფინანსების ნაკადს, ჯამში 1 ტრილიონი ევროს. ბიუჯეტის ნახევარზე მეტი, 528 მილიარდი ევრო, პირდაპირ მოდის ევროკავშირის ბიუჯეტიდან და ევროკავშირის ემისიების სავაჭრო სისტემიდან. დანარჩენი დაფინანსდება InvestEU პროგრამით, რომელიც მობილიზებას გაუკეთებს 279 მილიარდ ევროს საჯარო და კერძო სექტორებიდან 2030 წლამდე და 114 მილიარდ ევროს ეროვნული თანადაფინანსებიდან. მწვანე შეთანხმების დაფინანსების მექანიზმი აგრეთვე უზრუნველყოფს ევროკავშირის საბიუჯეტო გარანტიას, რომელიც საშუალებას მისცემს ევროპის საინვესტიციო ბანკს და სხვებს განახორციელონ ფინანსირება უფრო მაღალი რისკის პროექტებში, რაც შესაძლებელს გახდის კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც. ევროპის საინოვაციო საბჭომ ასევე გამოყო 300 მილიონი ევროს ბიუჯეტი ინოვაციური პროექტების ბაზრის შექმნისთვის, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ევროკავშირის მწვანე შეთანხმების მიზნებს. გარემოსთან მეგობრული ეკონომიკური პროექტების იდენტიფიკაციისთვის, ევროკავშირმა შეიმუშავა ე.წ. ტაქსონომიის რეგულაცია³⁶ - კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც ადგენს ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური საქმიანობის ჩამონათვალს. მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ევროკავშირის მდგრადი ინვესტიციების გაზრდაში და ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელებაში. მასშტაბური ინვესტიციების წახალისებისთვის, მკაცრი მდგრადობის მოთხოვნების დაკმაყოფილების და ინვესტორების დაცვის მიზნით, ევროკომისიამ ასევე შეიმუშავა ფინანსირების ნებაყოფლობითი სტანდარტი და ევროპული მწვანე ობლიგაციის სტანდარტი³⁷.

ევროკავშირის მწვანე შეთანხმებაში აღიარებულია, რომ გარდამავალი პერიოდი წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდება სამართლიანი და ინკლუზიური გზით. შედეგად, შემოთავაზებულია“ სამართლიანი გადასვლის მექანიზმი“³⁸, რომელიც ექსკლუზიურად იქნება ორიენტირებული იმ რეგიონებსა და სექტორებზე, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალებულია გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. ის ეყრდნობა როგორც ევროკავშირის ბიუჯეტს, ასევე InvestEU პროგრამას, რომელიც გამოყოფს 100 მილიარდი ევროს დაფინანსებას. აღნიშნული მექანიზმი

³⁵ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52020DC0021>

³⁶ <https://ec.europa.eu/sustainable-finance-taxonomy/>

³⁷ https://ec.europa.eu/info/publications/210706-sustainable-finance-strategy_en

³⁸ https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal/finance-and-green-deal/just-transition-mechanism_en

ხელმისაწვდომი იქნება იმ რეგიონებისა და სექტორებისთვის, რომლებიც უფრო მეტადაა დამოკიდებულია წიაღისეულ საწვავზე ან ნახშირბადინტენსიურ პროცესებზე.

ეროვნული ბიუჯეტების გამწვანება და ფასწარმოქმნის მექანიზმები

მწვანე შთანხმების განხორციელების პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ბიუჯეტების „მწვანე“ დაგეგმვას. მწვანე ბიუჯეტის ინსტრუმენტების უფრო ფართოდ გამოყენება ხელს შეუწყობს სახელმწიფო ინვესტიციების, მოხმარებისა და დაბეგვრის გადანაწილებას მწვანე პრიორიტეტებზე და შეამცირებს ან აღმოფხვრის გარემოსადმი მავნე საქმიანობების სუბსიდირებას. ევროკომისია მუშაობს წევრ სახელმწიფოებთან მწვანე ბიუჯეტების შემოწმებასა და შედარებაზე. ეს გაადვილებს იმის შეფასებას, თუ რამდენად ითვალისწინებს წლიური ბიუჯეტი და საშუალოვადიანი ფისკალური გეგმები გარემოსდაცვით საკითხებს და რისკებს, ამასთან ეს არის საშუალება გამოავლინდეს მწვანე ბიუჯეტირების საუკეთესო პრაქტიკა. რადგან მწვანე ბიუჯეტის რეფორმამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მწვანე გადასვლაში, კომისიამ წევრ სახელმწიფოებთან ერთად შეიმუშავა ევროკავშირის მწვანე ბიუჯეტის ჩარჩო ცნობარი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის³⁹. ცნობარში მოცემულია ის საბიუჯეტო ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებით წევრი სახელმწიფოები განახორციელებენ მწვანე ბიუჯეტირებას.

მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ საგადასახადო რეფორმას. კარგად შემუშავებულმა საგადასახადო რეფორმებმა შეიძლება გაზარდოს ეკონომიკური ზრდა და ამავე დროს იყოს კლიმატური შოკებისადმი მდგრადი. გადასახადებს პირდაპირი გავლენა აქვთ პროდუქციის ფასწარმოქმნაზე, ამ რეფორმის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოსთან მეგობრული პროდუქტების და საქმიანობების სტიმულირებას.

განათლებისა და სწავლების გააქტიურება

სკოლები, ტრენინგ ცენტრები და უნივერსიტეტები ეს ის ადგილებია სადაც შეიძლება ფართო მასებს გააცნო კლიმატ-ნეტრალურობისკენ გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო ცვლილებები.

ევროკომისია მოამზადა ე.წ. ევროპული კომპეტენციის ჩარჩოს⁴⁰, რომელიც დაეხმარება სასწავლო დაწესებულებებს კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების შესახებ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას და შეფასებას. იგი ასევე უზრუნველყოფს მასწავლებელთა მომზადების პროგრამებს დამხმარე მასალებით და

³⁹ https://ec.europa.eu/info/news/green-budgeting-key-driver-meet-environmental-ambition-european-green-deal-2021-may-20_en

⁴⁰ <https://www.eesc.europa.eu/en/our-work/opinions-information-reports/opinions/eu-competence-framework-green-skills-own-initiative-opinion/related-links-soc-636>

ხელს შეუწყობს ევროკავშირის სასწავლო ქსელებში კარგი პრაქტიკის ურთიერთგაცვლას. ამ ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერისთვის 2020 წელს, სკოლების ინფრასტრუქტურაში განხორციელდა სამი მილიარდი ევროს ინვესტიცია.

მწვანე ფიცი: "არ დააზიანო"

მწვანე შეთანხმება მოითხოვს უპეცედენტო გარდაქმნებს არამხოლოდ ეკონომიკის სექტორებში, არამედ ხშირ შემთხვევაში საზოგადოების, რიგითი მოქალაქეების ცხოვრების სტილის შეცვლასაც. ახალმა რეგულაციებმა შეიძლება მრავალი ნახშირბადინტენსიური საქმიანობა ან რეგიონი არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენოს. გამოსავალი ერთია - ასეთ წარმოებებს თუ რეგიონებს ჭირდებათ ქმედითი დახმარება მთელ გარდამავალ პერიოდში. მწვანე ფიცი, რომლის მიზანია ევროკავშირის ყველა ქმედება და პოლიტიკა გაერთიანდეს, რათა დაეხმაროს ევროკავშირს მდგრადი მომავლისკენ წარმატებული და სამართლიანი გადასვლისათვის, ამავე დროს უნდა ითვალისწინებდეს „ზიანის არ მიყენებას“ ახალი პოლიტიკისადმი მონყვლადი ჯგუფებისთვის.

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ტიმერმანსმა, რომელიც ხელმძღვანელობდა მწვანე შეთანხმების შემუშავებას, განაცხადა: „*[ამ თემაზე] საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, ჩემი მთავარი დასკვნა არის ის, რომ მწვანე შეთანხმება იქნება სოციალური ან საერთოდ არ იქნება*“⁴¹. ამიტომ მწვანე შეთანხმებაზე საუბრისას იგულისხმება როგორც მდგრადი და მწვანე, ასევე სოციალურად სამართლიანი განვითარებაც.

ახალი განვითარების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ევროკავშირმა შეიმუშავა მთელი რიგი რეგულაციებისა, რომლებმაც შედარებით უმტკივნეულო უნდა გახადონ გარდამავალი პერიოდი ეკონომიკის თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის. ეს მოიცავს საჯარო კონსულტაციების საფუძველზე გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების იდენტიფიკაციას და მცირე და საშუალო ბიზნესის ზემოქმედების და ინოვაციების ხელშემწყობი ან ხელისშემშლელი ფაქტების ანალიზის. ზემოქმედების შეფასება ხელს უწყობს ეფექტური პოლიტიკის არჩევას მინიმალური დანახარჯებით.

გარდა ამისა, ახალი რეგულაციების ბოლოდროინდელი შედეგების საფუძველზე, ევროკომისია აუმჯობესებს რეგულირების სახელმძღვანელო პრინციპებს და დამხმარე ინსტრუმენტებს მდგრადობისა და ინოვაციის საკითხებზე. მიზანი არის, რომ მწვანე შეთანხმების ყველა ინიციატივამ მიაღწიოს თავის მიზნებს ყველაზე ეფექტური და ნაკლებად მძიმე შედეგით. გარდა ამისა, მონყვლადი ჯგუფებისთვის შემუშავებულია სერიოზული ფინანსური დახმარების მექანიზმები, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგ. ე.წ. სამართლიანი გადასვლის მექანიზმი.

⁴¹ https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/SPEECH_20_1551

უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე შეთანხმებასთან დაკავშირებულ ევროკავშირის ყოველ საკანონმდებლო ინიციატივას თან ახლავს მემორანდუმი, რომელიც განმარტავს, თუ როგორ იცავს თითოეული ინიციატივა ამ ფიცს.

კვლევების მობილიზება და ინოვაციის ხელშეწყობა

კვლევა და განვითარება ჭირდება ევროკავშირის მწვანე შეთანხმების თითოეულ მიმართულებას. ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ბევრი ინიციატივა მოითხოვს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ფინანსური მოდელების და მიწოდების ჯაჭვების გარდაქმნას. კვლევისა და განვითარების მრავალი ინიციატივა დაფინანსდება პროგრამა „ჰორიზონ ევროპის“ მიერ, რომელიც თავისი 95.5 მილიარდი ევროს ბიუჯეტის 35 პროცენტზე მეტს გამოყოფს მწვანე შეთანხმების მიზნების მისაღწევად⁴².

ერთობლივი მოქმედების დრო: ევროპის კლიმატის პაქტი

კლიმატის პაქტი⁴³ მწვანე შეთანხმების ფარგლებში მიღებული დოკუმენტია და მისი მიზანია მწვანე შეთანხმების დებულებების პოპულარიზაცია არამატო ევროკავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში. ევროპის მწვანე ხელშეკრულებაში ხაზგასმულია, რომ შეთანხმების წარმატება დამოკიდებულია ხალხის, საზოგადოებების და ორგანიზაციების ფართო ჩართულობაზე ამ პროცესში. კლიმატის პაქტის დევიზია: „ჩემი მსოფლიო, ჩემი მოქმედება, ჩვენი პლანეტა“. კლიმატის პაქტი ყველას მოუწოდებს მოქმედებისკენ. სურვილია, რომ იგი გახდეს პლატფორმა, რათა შეიქმნას ქსელები რეალური ცვლილებებისთვის.

ევროპელსაც და არაევროპელსაც, ყველას შეუძლია გახდეს კლიმატის პაქტის ნაწილი. კერძოდ შესაძლებელია:

- გახდეს კლიმატის პაქტის ელჩი
- დადო პირობა კლიმატმეგობრულ მოქმედებებზე
- დარეგისტრირდე პაქტის სატელიტ-ღონისძიებებზე

მწვანე შეთანხმების საკანონმდებლო უზრუნველყოფა

წინა თავებში განხილული იყო მწვანე შეთანხმების პოლიტიკის მიმართულებები და მათი განხორციელების მექანიზმები შესაბამისი ძირითადი საკანონმდებლო რეგულაციების მიმოხილვით. დაინტერესებული პირებისთვის სასარგებლო იქნება იმ აქტების

⁴² <https://aer.eu/horizon-2020-funded-european-green-deal-calls-for-proposals/>

⁴³ https://europa.eu/climate-pact/index_en

ჩამონათვლის გაცნობა, რომლებიც მიღებულ იქნა 2021 წლის ივლისამდე მწვანე შეთანხმების განხორციელების საკანონმდებლო უზრუნველყოფისთვის. ყველა ეს აქტი შეიძლება მოდიებულ იქნეს ევროკომისიის მედიის სექციის საძიებო სისტემაში⁴⁴.

როგორც ავლიშნეთ, *ევროპის მწვანე შეთანხმების* წარდგენა ევროკომისიის მიერ გაიმართა 2019 წლის 11 დეკემბერს, უკვე ერთ თვეში წარდგენილი იქნა *შეთანხმების საინვესტიციო გეგმა და სამართლიანი გარდამავალი პერიოდის მექანიზმი*. ამის შემდეგ, 2020 წლის 4 მარტს, მიღებული იქნა შეთანხმებისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: *ევროპის კლიმატის კანონი*, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის ივლისში და რომელმაც ევროკომისიის კომუნიკაცია - მწვანე შეთანხმების დებულებები უკვე იურიდიულად სავალდებულო გახადა. აღნიშნულ კანონთან ერთად წარდგენილი იყო *ევროპის კლიმატის პაქტი*, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის, ადგილობრივი თემების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას მწვანე შეთანხმების განხორციელების პროცესში. უკვე 2020 წლის მარტიდან დაიწყო უპრეცედენტო რაოდენობის კანონებისა თუ პოლიტიკის დოკუმენტების მიღება ან არსებულებში ცვლილებების შეტანა. მწვანე შეთანხმების განხორციელებისთვის 2020 წლის მარტიდან 2021 წლის ივლისამდე მიღებულ იქნა შემდეგი ძირითადი აქტები:

- ევროპის ინდუსტრიული სტრატეგია;
- ცირკულარული ეკონომიკის მოქმედებათა გეგმა;
- ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია;
- „ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგია;
- ევროკავშირის სტრატეგია ენერჯო სისტემის ინტეგრირებისა და წყალბადის შესახებ;
- 2030 კლიმატის მიზნების გეგმა;
- შენობების განახლების ტალღა;
- მეთანის სტრატეგია;
- ქიმიკატების სტრატეგია მდგრადობისთვის;
- ოფშორული განახლებადი ენერჯია;
- ევროპის ბატარიების ალიანსი;
- ახალი ევროპული ბაუჰაუსი;
- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ევროკავშირის ახალი სტრატეგია;
- ორგანული პრდუქტების მოქმედებათა გეგმა;
- ნულოვანი გაბინძურების მოქმედებათა გეგმა;
- მდგრადი ლურჯი ეკონომიკა.

2021 წლის 14 ივლისს ეს ყველაფერი დაგვირგვინდა ევროკავშირისთვის უპრეცედენტო რაოდენობის საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტების პაკეტით - *Fit for 55*⁴⁵, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის 2030 წლის მიზანს- ემისიის 55%-ით შემცირებას 1990 წლის დონესთან შედარებით და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მწვანე შეთანხმების

⁴⁴ <https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/>

⁴⁵ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/fit-for-55/>

საბოლოო მიზნების განხორციელებაში. პაკეტი მოიცავს 5 ახალ რეგულაციას და 12 მოქმედ რეგულაციაში ცვლილებებს:

ახალი რეგულაციები:

- ნახშირბადის საზღვრის რეგულირების მექანიზმი;
- ReFuelEU ავიაცია;
- FuelEU საზღვაო;
- კლიმატის სოციალური ფონდი;
- ევროკავშირის სატყეო სტრატეგია;

ცვლილებები მოქმედ რეგულაციებში:

- ევროკავშირის ემისიებით ვაჭრობის სქემა;
- განახლებადი ენერჯის დირექტივა;
- ენერგოეფექტურობის დირექტივა;
- ძალისხმევის განაწილების რეგულაცია;
- ალტერნატიული საწვავის ინფრასტრუქტურის დირექტივა;
- მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობის ცვლილებისა და ტყის რეგულაციის გადასინჯვა;
- ავტომობილებსა და ფურგონებზე CO₂- ის ემისიის სტანდარტების რეგულაცია;
- ენერჯის დაბეგვრის დირექტივა.

კანონშემოქმედებითი პროცესი გრძელდება. ევროპის მწვანე შეთანხმების ფარგლებში სულ მისაღებია 60-მდე საკანონმდებლო აქტი.

მწვანე შეთანხმების მოლოდინები და რისკები

მწვანე შეთანხმების ქვაკუთხედი - ევროპის კლიმატის კანონი მიღებულ იქნა ევროპარლამენტის მიერ 2020 წლის 24 ივნისს. ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად: 442 მომხრე, 203 მოწინააღმდეგე, 51-მა თავი შეიკავა. ხმების ეს განაწილება რეალურად ასახავს მწვანე შეთანხმების მიმართ ოპტიმისტებისა და პესიმიისტების თანაფარდობას. მომხრეების აზრით, მწვანე შეთანხმების განხორციელებით ევროკავშირის მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფილი იქნება:



სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, ჯანმრთელი ნიადაგი და ბიომრავალფეროვნება



აღდგენილი, ენერგოეფექტური შენობები



ჯანმრთელი და ხელმისაწვდომი სურსათი



მეტი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სუფთა ავტომობილები



უფრო სუფთა ენერჯია, თანამრდროვე სუფთა ტექნოლოგიები და ინოვაციები



ხანგრძლივი მოხმარების პროდუქცია, რომელთა შეკეთება, რეციკლირება და შემდგომი გამოყენება შესაძლებელია.



მომავალი სამუშაოებისა და უნარ-ჩვევების ტრენინგი



გლობალურად კონკურენტუნარიანი და მდგრადი ინდუსტრია

თუ რა გზებით მიიღწევა მწვანე შეთანხმების განხორციელება ამაზე ზემოთ იყო საუბარი.

მწვანე შეთანხმება როგორც განვითარების ახალი ხედვა, რა თქმა უნდა, რისკებსაც შეიცავს. შეთანხმების კრიტიკოსები შეიძლება ორ ჯგუფად დაყოთ. პირველს მიეკუთვნებიან რიგი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და ზოგიერთი მემარცხენე პარტია, რომლებიც თვლიან, რომ მწვანე შეთანხმების მიზნები არასაკმარისად ამბიციურია და ამ მიზნებით გარემოს რეალური გაუმჯობესება ვერ მოხდება. მეორე ჯგუფს წარმოადგენენ რიგი პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მწვანე შეთანხმება არაკონკურენტუნარიანს გახდის ევროკავშირის ეკონომიკას იმ ხარჯების გამო, რაც სექტორებმა, სანარმოებმა უნდა გაწიონ მწვანე შეთანხმების მოთხოვნათა შესასრულებლად. ასევე წინასწარმეტყველებენ ეკონომიკის მკვეთრ ვარდნას ევროკავშირის იმ ქვეყნებში, რომელთა ენერგეტიკა დიდადაა დამოკიდებული წიაღისეულ საწვავზე და აკრიტიკებენ სამართლიანი გადასვლის მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს ასეთი ქვეყნების ფინანსურ დახმარებას. კითხვა ისმის: უნდათ თუ არა დონორი ქვეყნების (ძირითადად გერმანია და საფრანგეთი) გადასახადების გადამხდელებს დაფინანსდნენ „ნახშირბადინტენსიური“ რეგიონები ან/და ქვეყნები მათი ჯიბიდან. კრიტიკის საგანია გაზრდილი გადასახადები და სუბსიდირების შეწყვეტა ნახშირბადტევად პროდუქტებზე. ყველას ახსოვს ყვითელი ჟილეტების რთული და დიდხნიანი პროტესტი საფრანგეთში, რომელიც მოყვა საწვავზე გადასახადის გაზრდას. კრიტიკის საგანია აგრეთვე პრინციპების და კრიტერიუმების სამართლიანობა, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს დახმარებების გადანაწილება.

როგორც იტყვიან „მომავალი გვიჩვენებს“. მაგრამ, უდაოდ, მწვანე შეთანხმებას თამამად შეიძლება ვუწოდოთ გლობალურ განვითარების ახალი ხედვაზე. ეს პირველი მაგალითია ასეთი ხედვის პრაქტიკაში დანერგვისა და ევროკავშირი ამ საქმეში მართლ არ უნდა იყოს.

მწვანე შეთანხმების წარმატება ბევრად იყნება დამოკიდებული ზემოთ ხსენებული რისკების აღმოფხვრის ისეთ მექანიზმებზე როგორებიცაა: სამართლიანი გადასვლის მექანიზმი, კლიმატის სოციალური ფონდი, მწვანე ფიცი - „არ დააზიანო“, ძალისხმევის განაწილების მექანიზმი და სხვა ინსტრუმენტები.

მწვანე შეთანხმება და ევროკავშირის საპარტნიორო-სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთან

ევროკომისიის კომუნიკაციაში ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ⁴⁶ ნათქვამია, რომ მწვანე შეთანხმების ამბიციური მიზანია ვერ მიიღწევა მხოლოდ ევროკავშირის მოქმედებით. კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის ფაქტორები გლობალურია და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეროვნული საზღვრებით. ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს თავისი გავლენა, გამოცდილება და ფინანსური რესურსი მეზობლებისა და პარტნიორების მობილიზებისთვის, რათა ისინი შეუერთდნენ მდგრადი განვითარების გზაზე.

ევროკავშირი ეს თხოვნა უშუალოდ ეხება საქართველოს, რომელსაც ევროკავშირთან გააჩნია მჭიდრო პარტნიორობა, მრავალმხრივი და ორმხრივი კავშირები.

გლობალურ დონეზე, მწვანე შეთანხმების მიზნებთან უშუალოდაა დაკავშირებული კლიმატის ცვლილების კონვენცია მისი სხვადასხვა მექანიზმებით თუ ანგარიშგების ლოკუმენტებით. „პარიზის შეთანხმებაში“, რომლის რატიფიცირება საქართველომ მოახდინა 2017 წელს, ევროკავშირი ლიდერის როლს ასრულებს და აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს კლიმატის კონვენციისა და პარიზის შეთანხმების მოთხოვნათა შესრულებაში.

საქართველო არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყანა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. განახლებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის დღის წესრიგში გარემოს დაცვა და კლიმატი ცვლილების საკითხები უკვე პრიორიტეტია. მწვანე შეთანხმებაში ევროკავშირი ხაზს უსვამს უშუალო მეზობლების მხარდაჭერას. ევროპისთვის ახალ სტრატეგიაზე გადასვლა სრულად ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის უახლოესი სამეზობლო ასევე მიიღებს ეფექტურ ზომებს. მიმდინარეობს მუშაობა დასავლეთ ბალკანეთის მწვანე დღის წესრიგზე. აღნიშნულია, რომ ევროკომისია ითვალისწინებს ძლიერ პარტნიორობას გარემოს, ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილებაში სამხრეთ სამეზობლოსთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

ევროკავშირის და საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ 2014 წლის 27 ივნისს (ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან), პარტნიორობა განსაკუთრებულ ეტაპზე გადაიყვანა. ასოცირების ხელშეკრულება ეხება თითქმის ყველა სექტორს და მისი ძირითადი მიზანია საქართველოს კანონმდებლობის მიახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

⁴⁶https://ec.europa.eu/info/publications/communication-european-green-deal_en

შეთანხმებით შემოღებულია შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA). ეს რეჟიმი ზრდის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ბაზარზე ხელმისაწვდომობას უფრო შეღავათიანი რეგულაციების საფუძველზე. ევროკავშირი არის საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი. საქართველოს ვაჭრობის დაახლოებით 23% ხორციელდება ევროკავშირთან, შემდეგ მოდის თურქეთი (14%) და რუსეთი (12%). ბოლო წლების სავაჭრო ბრუნვა მიახლოებით შეადგენს 2.5 მილიარდ ევროს. ძირითადად ეს არის იმპორტი ევროკავშირიდან. 2019 წელს ევროკავშირში ექსპორტმა საქართველოდან 600 მილიონი ევროს შეადგინა.⁴⁷

მწვანე შეთანხმებას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ახალი ხედვა არამხოლოდ ევროკავშირის, არამედ გლობალურ განვითარებაზე. მწვანე ზელშეკრულებაში გაცხადებულია, რომ მხოლოდ ევროკავშირისთვის დოკუმენტის მიზნების მიღწევა ძნელი იქნება თუ მის გვერდით არ იქნებიან პატნიორი და მეზობელი ქვეყნები. ამ ქვეყნებში რა თქმა უნდა იგულისხმება საქართველოც. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ასოცირების კიდევ ორმა ქვეყანამ მოლდოვამ და უკრაინამ ამ მხრივ უკვე დაიწყეს მოქმედებები. მოლდოვაში გაიმართა რამდენიმე მრგვალი მაგიდა მწვანე შეთანხმებაშთან დაკავშირებით, მაგალითად 2021 წლის იანვარში მაღალი დონის ეროვნული მრგვალი მაგიდა „აღმოსავლეთის პარტნიორობა:მწვანე ეკონომიკიდან მწვანე შეთანხმებამდე“⁴⁸.

უკრაინა უფრო შორს არის წასული: 2020 წლის აგვისტოში უკრაინის მთავრობამ ევროკომისიაში წარადგინა პოზიციის დოკუმენტი მწვანე შეთანხმებაზე განხორციელებაზე⁴⁹. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. საკითხი დანვრისთვის იქნა განხილული უკრაინის პრემიერ-მინისტრსა და ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ ფრანს ტიმერმანს შორის, გადაწყდა, რომ მწვანე შეთანხმებაზე ორმხრივად საინტერესო მუშაობა წარიმართება ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, ამ მიმართულებით საქართველოს მხრიდან რაიმე ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა.

რეკომენდაციები

რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ მისი უახლოესი პარტნიორის - ევროკავშირის განვითარების ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რომლის გაზიარებაც მას ადრე თუ გვიან მოუწევს საქართველოს ევროკავშირში განეწვრიანების ამბიციიდან გამომდინარე.

თუ გავითვალისწინებთ ასოცირების ხელშეკრულების ლოგიკას, სადაც საქართველოს შესაძლებლობათა გათვალისწინებით სავალდებულოდ შესასრულებელია ევროკავშირის

⁴⁷ <https://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>

⁴⁸ https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2021-01/Newsletter-V_edition_EN.pdf

⁴⁹ <https://ukraine-eu.mfa.gov.ua/en/2633-relations/galuzveve-spivrobitnictvo/klimat-yevropejska-zelena-ugoda>

ამა თუ იმ დირექტივის მხოლოდ ნაწილი, იმავე ლოგიკით, მწვანე შეთანხმებაში შეიძლება გამოვყოთ ის მიმართულებები, რომელთა გათვალისწინება ამ ეტაპზე სასურველი ან აუცილებელიცაა. ასეთ საკითხებად მიგვაჩნია და რეკომენდაციის ვუნვეთ:

რეკომენდაცია 1. სასურველია საქართველოს მთავრობამ გააკეთოს განაცხადი ევროკავშირის ახალი სტრატეგიის - მწვანე შეთანხმების მხარდასაჭერად და შეიქმნას მოლაპარაკებათა პლატფორმა ასოცირების ხელშეკრულების ფორმატში. მწვანე შეთანხმებიდან გამომდინარე ევროკავშირი დაეხმარება ყველა იმ პარტნიორს და მეზობელს, ვინც მხარს დაუჭერს ევროკავშირის ახალი სტრატეგიის განხორციელებაში.

რეკომენდაცია 2. არ უნდა იყოს აღქმა, რომ მწვანე შეთანხმება გარემოსდაცვითი დოკუმენტია. ის ზოგადი განვითარების სტრატეგიაა და მოიცავს ყველა სფეროს. ამიტომ უნდა შეიქმნას სამთავრობო სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მწვანე შეთანხმების პერსპექტივებს და მის გავლენას ევროკავშირი-საქართველოს მომავალ თანამშრომლობაზე.

რეკომენდაცია 3. ყველა სამთავრობო უწყებამ უნდა გადახედოს ასოცირების ხელშეკრულების იმ ნაწილს, რომელთა შესრულებაზეც პასუხისმგებელი არიან. თვალყური ადევნონ შესაძლო ცვლილებებს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეგულაციებში, რომელებსაც მოითხოვს მწვანე შეთანხმება.

რეკომენდაცია 4. ყურადღება უნდა მიექცეს ევროკავშირში საექსპორტო საქონლის მწარმოებელი კომპანიების სანარმო ციკლის „ნახშირბადინტენსივობას“, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებული „ნახშირბადის სასაზღვრო კონტროლის მექანიზმის“ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია 5. ევროკავშირის ტაქსონომიის დოკუმენტის გამოცდილების გათვალისწინებით, მთავრობის მიერ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობით უნდა შემუშავდეს კლიმატმეგობრული ეკონომიკური საქმიანობების კლასიფიკატორი. მთავრობამ უნდა აწარმოოს მოლაპარაკებები ბანკებთან ასეთი საქმიანობების უპირატესი ფინანსირებისთვის (ევროპის საინვესტიციო ბანკის გამოცდილების გათვალისწინებით, რომელსაც უკვე უწოდებენ კლიმატის ბანკს) და საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან დაკავდნენ ამდაგვარი პროექტების ფინანსირებით. სასურველი იქნება თუ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უპირატესობას მიანიჭებს ამდაგვარ პროექტებს.

რეკომენდაცია 6. სასურველი იქნება თუ საქართველოს პარლამენტი შეიტანს ცვლილებებს საქართველოს კანონში ნორმატიული აქტების შესახებ და კანონპროექტის გამართებით ბარათში დაემატება მოთხოვნა თუ რა გავლენას მოახდენს განსახილველი კანონპროექტის განხორციელება კლიმატის ცვლილებაზე. ევროკავშირში ასეთი სახის მოთხოვნა (მემორანდუმი) უკვე სავალდებულოა მწვანე შეთანხმების ფარგლებში.

რეკომენდაცია 7. მწვანე შეთანხმებაში დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჯანმრთელი, გარემოსადმი მეგობრული ორგანული პროდუქტებით უზრუნველყოფას.

„ფერმიდან ჩანგლამდე“ სტრატეგიასთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ორგანული პროდუქტებისა და მათი ნიშნდების რეგულაციაში⁵⁰, რომელიც 2022 წლიდან შევა ძალაში. ცვლილების მიხედვით ევროკავშირში ექსპორტიორ ქვეყნებს იგივე მოთხოვნებათ, რაც ევროკავშირის მწარმოებლებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანა და სოფლის მეურნეობის ექსპორტიორი კომპანიები მზად უნდა იყვნენ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის.

რეკომენდაცია 8. მწვანე შეთანხმების პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. საზოგადოების ფართო მასების პროცესში ჩართვისათვის შემუშავდა კლიმატის პაქტი. ეს დოკუმენტი დეტალურად აღწერს პროცესში ჩართვის შესაძლებლობებს. კლიმატის პაქტი უფრო დეტალურად გემოთაა განხილული როგორც მწვანე შეთანხმების პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმი. ამ ეტაპზე, კლიმატის პაქტი ორიენტირებულია ოთხ მიმართულებაზე: მწვანე სივრცეები, მწვანე ტრანსპორტი, მწვანე შენობები და მწვანე უნარები, თუმცა მიმართულებები ფართოვდება. რეკომენდირებულია, რომ ამ საკითხებზე მომუშავე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ კლიმატის პაქტის პლატფორმის მუშაობაში.

მიმოხილვა მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერით, პროექტის “ევროპის მწვანე შეთანხმება და საქართველო“ ფარგლებში, გერმანიის „დედამინის მეგობრები - BUND“-თან თანამშრომლობით.

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები-საქართველო. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებად.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამინის მეგობრები-საქართველო
თბილისი, სლავა მეტრეველის 4, 0112

ტელ.: (+995 32) 2 30 62 21

ელ. ფოსტა: info@greens.ge

ვებგვერდი: www.greens.ge

⁵⁰ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A32020R1693>